ცნობის ფურცელი

№ 2612 | ხუთშაბათი, 16 სექტემბერი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2612

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ... დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ნინო სტეფანეს ასული და მისი შვილები: მიხეილი, ვასილი, კონსტანტინე და ნიკოლოზ ლუარსაბის ძენი კორინთლები, ალექსანდრა ლუარსაბის ასული გვერდწითელისა და ოლგა ლუარსაბის ასული ეპიტაშვილისა, სიძეები და რძლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის და დაუვიწყარი მეუღლისას, მეორენი და მესამენი—მამისას, მეოთხენი—სიმამრისას, ხოლო მეხუთენი მამამთილისა

ლუარსაბ ლუარსაბის ძის კორინთლისას.

განსვენებული გარდაიცვალა სოფ. ილთოზაში 13 სექტემბერს. წირვა და დაკრძალვა იქვე დღეს, დილის 10 საათზე. (1—6.—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები
(წლიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ა. გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—24)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

სეზონის დასაწყისი პარასკევს, 17 სექტემბერს 1904 წელს.

მ. ი. გლინკას დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო წარმოდგენის წინ არტისტები, ხორო და ორკესტრი შეასრულებს გლინკას „სლავას“. შემდეგ წარმოდგენილი იქნება

„ჟიზნ ზა ცარია“

ოპერა 4 მოქ., მუს. გლინკასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანტონოვა, შიუტსკაია; ბ-ნნი დონსკოი, გალეცკი, ზალიში, მურატოვი. ბალეტს განაგებს ე. ი. ჯიოკანი. პრიმა-ბალერინა ა. ს. ლენჩევსკაია. კაპელმეისტერი ა. ეიხენვალდი, უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი, რეჟისორი ი. ი. ალტშულლერი.

ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

18 სექტ.—„ფაუსტი“, 19 სექტ.—„აიდა“; მზადდება პირველად ტფილისისათვის „ნერონი“, მუსიკა რუბინშტეინისა.

გამგე ი. ა. კელლერი.

უცხო სიტყვათა

ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ. ფასი ერთი მანეთი, გაგზავნით ექვსი აბაზი. ისყიდება გამომცემელთან, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მისამართი: Тифлисъ, книж. торг. Іос. Зах. Имедашвили. (5—3)

პანსიონი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემზომო სასწავლებელში. (150—218—39)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ექიმები:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.

მ. ფ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოხიდიანი.—ქალისა და საბავშო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

... მ. სოზოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. ... საათამდე.

საღამოთი:

... სოზოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია. ...შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში იმყოფებიან მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ... ქუჩიდან-კი 34 Б. ...)

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ელ. რომანიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—1)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქ., № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

...ქუჩა 1., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—12)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—15)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—25)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.

4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა,

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ დაბეჭდილი ანგარიშები ქ. დ. საზ. კანტორაში.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

ტ. I. 11+533+VI გვ. ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფირცხალავასი. ფასი 1 მან. უმთავრესი საწყობი „წ. კ. გამავ. საზოგადოების“ მაღაზიაში. (3—6.—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 სექტემბერი

ჩიფუ, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). (გაგრძელება). ასე დასრულდა ბრძოლა 7 სექტემბერს. მეორე ღამეს იაპონელები ისევ ცხარეთ უშენდნენ ყუმბარებს რუსების პოზიციებს, განსაკუთრებით მაშველ ფრონტს, რომელიც შიტანიდან დასავლეთით 3,000 მეტრის მანძილზეა და ერთობ მნიშვნელოვან პოზიციად ითვლება. იაპონელები მანამდის უშენდნენ ყუმბარებს, სანამ რუსების მხრივ არ შესუსტდა სროლა. იაპონელები მაშინ მივიდნენ იერიშით, მაგრამ რუსებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. რადგან რუსები ტყვიის მტყორცნელით უშენდნენ ტყვიებს, იაპონელები საშინელის თავგამოდებით მიდიოდნენ წინ გორაკზე ასასვლელად: ხტებოდნენ სანგრებზე, სწყვეტდნენ მავთულებს და ბოლოს შევიდნენ სიმაგრეში. რუსებმა, თუმცა მტერი რიცხვით მათზე მეტი იყო, წინააღმდეგობა გაუწიეს. გამწვავებული ხელჩართულური ბრძოლა იმ დრომდე გაგრძელდა, სანამ თითქმის ყველა რუსი არ მოჰკლეს და არ დასჭრეს. ეს ცნობები გადმოგვცა ერთმა სანდო ჩინელმა, რომელიც 8 სექტემბერს წამოვიდა იქიდან და ამიტომ არ იცის, განახლდა თუ არა ბრძოლა 9 სექტემბერს. აქ მოსული ნავები ამბობენ, რომ 9 სექტემბერს იაპონელები ერთობ სუსტად უშენდნენ ზარბაზნებსაო. ხოლო დალნიდან მოსული გემი ამტკიცებს, რომ 11 სექტემბერს დიდი ბრძოლა მოხდა. სამხედრო სპეციალისტები ფიქრობენ: თუ იაპონელები ან ერლუნშანს ან იტშანსა ან ანძუშანს აიღებენ, პორტ-არტურის ბედი გადაწყვეტილი იქნებაო. აქედანა სჩანს, თუ რა დიდი შედეგი მოჰყვა იაპონელთა მოქმედებას უკანასკნელ იერიშის დროს.

ჩიფუ, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ“.). დალნიდან მოსულმა გემმა ამბავი მოიტანა, რომ უკანასკნელი იერიში იაპონელებისა, პორტ-არტურზე მიტანილი, 6 სექტემბერს დაიწყო და 50 საათზე მეტი გაგრძელდა. ბოლოს იაპონელებმა ორი-სამი მეორე ხარისხოვანი სიმაგრე ძიგუანშანთან აიღეს. იაპონელებმა უკუაქციეს რუსები სიმაგრეებიდან. ამტკიცებენ, ბრძოლა გამწვავებული იყოო, მაგრამ იაპონელები წინდაწინ მოემზადნენ, სხვა-და-სხვანაირ საშუალებას მიმართეს და, თუმცა ძლიერ დაზარალდნენ, მაგრამ ისე კი არა, როგორც წინანდელ იერიშების დროს.

სან-ფრანცისკო, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). სან-ფრანცისკოდან 10 მილის მანძილზე დაინახეს ნავთ-სადგურში მიმავალი რუსის გემი. ფიქრობენ, რომ ეს „კორეია“-ა, რომელიც „ლენა“-ს მიჰყვებოდა წყნარ ოკეანეში.

ტოკიო, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). მოვიდა პრინცი კარლ-ანტონ ჰოჰენცოლერნი.

ჩიფუ, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ოფიციალურ წყაროებიდან ხმებია, რომ იაპონელები დღე და ღამ მძლავრად უშენენ ყუმბარებს პორტ-არტურსაო. რუსებმა ახალი ზარბაზნები დადგეს ლაოტეშანის მაღალ კლდეებზე და იაპონელების თვითეულ ყუმბარის სროლაზე ყუმბარითვე აძლევენ პასუხს.

ტიანძინი, 11 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ბოლო დღეებში ლიაოიანში ათასობით მოდის იაპონელთა ჯარი. დღეს მოვიდა 5 ათასი კაცი, რომელნიც ინკოუდან ნავებით წამოვიდნენ.—ქვა-ნახშირის უქონლობა ძლიერ აბრკოლებს რუსებს პორტ-არტურში. ფიქრობენ, რომ ის გემი, რომელიც ამ ჟამად ტიანძინშია, რუსებს მიჰყიდეს და ვითომც ამ გემით აპირებენ გაბედულად შეიტანონ ქვა-ნახშირი ცინდაოდან პორტ-არტურში.

ლონდონი, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). „სტანდარდს“ აუწყებენ კუროკის მთავარ სადგომიდან, რომ 10 სექტემბერს რუსები ემუქრებოდნენ იაპონელთა მარჯვენა ფრთეს, მაგრამ სერიოზული შეტაკება არ მომხდარაო.

ალექსანდრია, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). მოვიდა რუსის რამდენიმე ტრანსპორტი, რომლებიც პორტ-საიდში მიდიან, სადაც მიიღებენ განკარგულებას. გემები სუეციდან წაიღებენ სურსათს.

ვლადივოსტოკი, 13 სექტემბერი. ამ უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთის მხარეს ცაზე დაინახეს ბრწყინვალე ვარსკვლავი იუპიტერი, რომელიც ქალაქში მცხოვრებთ იაპონელთა აეროსტატი ეგონათ.—აქაურმა სახლის პატრონმა ანდრეევმა გადასცა ფლოტის უფროსს თავისი სახლი აფიცრებისათვის საავადმყოფოს მოსაწყობად. დაჭრილები ყველანი სრულიად რჩებიან და მიისწრაფვიან ბრძოლაში. ცინდაოდან მიღებულ ცნობებით, „ცესარევიჩ“-ზე დაჭრილნი მეოპარნი გერმანელთა საავადმყოფოში არიან და მშვენიერი მოვლა აქვთ. ყველა მსუბუქად არის დაჭრილი.

კამიშლოვი. აქ და ეკატერინბურგში მცხოვრებმა მშვიდობიანმა იაპონელებმა მიიღეს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა.

ადესსა, 13 სექტემბერი. დაიწყო კერძო საქონლის გზავნა ციმბირის გზაზე, ირკუტსკის იქით.

ტოკიო, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ხალხი ომს ეხლა თანდათან უფრო ფხიზლად უყურებს. ომს სერიოზულად უცქერიან. პორტ-არტურის ხანგრძლივმა გარემოცვამ, დიდმა ზარალმა და კუროპატკინის მშვიდობიანად უკან დახევამ გაუღვიძა ხალხს შეგნება იმისა, თუ რა დიდი ნაციონალური მნიშვნელობა აქვს ამ ომს და გაუფანტა ზავის ადრე ჩამოგდების იმედი. ხალხმა შეიგნო, რომ აუცილებელია ხანგრძლივი და მძიმე ომი. ხალხი დარწმუნებულია, რომ ის სამხედრო მასალა და ფული, რაც ეხლა აქვს იაპონიას, საკმაო იქნება მომავალ წელს ბრძოლის განგრძობისათვის.

ლისაბონი, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). „ლლოიტი“ იუწყება, რომ ლისაბონის ნავთსადგურიდან დაინახეს გაშლილ ზღვაში რუსის დობროვოლნი ფლოტის გემიო.

ტოკიო, 11 სექტემბერი (ბერლინში მიღებული ცნობა). ხმებია, 8 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ბჭობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ იშოვონ ფული ომის საჭიროებისათვისაო. გადასწყვიტეს, მომავალ წელს შემოიღონ მარილის მონოპოლია და აბრეშუმზე გადასახადი.—იაპონელთა საკანონირო გემები, რომელნიც ნიუ-ჩუანთან იდგნენ, სამხრეთისკენ წავიდნენ, რითა პორტ-არტურის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ.

14 სექტემბერი

მოსკოვი, 13 სექტემბერი. შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნდა საერობო ორგანიზაციის რწმუნებული პროფესორი გოლოვინი, რომელმაც ამბავი მოიტანა, რომ სანიტარიის მხრივ ჯარი კარგ მდგომარეობაშიაო. საერობო სასანიტარო რაზმებს სურსათი ბლომად ჰქონიათ და ჩინელებთანაც კარგი ურთიერთობა აქვთ თურმე. დღეს მოსკოვიდან შორეულ-აღმოსავლეთს წავიდა პოდპოლკოვნიკი გურკო. ქალაქის კასამ ავადმყოფ და დაჭრილ მეომართათვის მიიღო სულ 306,000 მანეთი. ამ რიცხვში ისიც არის ნაანგარიშევი, რაც ნივთებით შემოსწირეს.

ბერლინი, 13 სექტემბერი (საკუთ. კორესპონდენტისაგან). როგორც იაპონიის პირველ არმიაში მყოფი „სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება, საეჭვოა, რომ იაპონელებმა ამ ცოტა ხანში განაახლონ ბრძო-

ლი. რუსები თავიანთ პოზიციებს ამაგრებენ მუკდენის ჩრდილოეთით. რუსის ჯარს ორი ახალი კორპუსი მიემატა.

მუკდენი, 13 სექტემბერი (ბერლინში მიღებული ცნობა). როგორც ნამდვილად იუწყებიან, იაპონელები ავადმყოფობისაგან ძალიან ტანჯვაში არიან და ამის გამო ვერ ახერხებენ წინსვლას. პორტ-არტურიც რომ აიღონ, ერთ თვეზე მეტი გავა, ვიდრე იქიდან ჯარი მოეშველება იაპონელებს.

ლონდონი, 13 სექტემბერი („რეიტერის სააგ."). როგორც „ლლოიდ"-ი იუწყება, ლისაბონის მახლობლად შენიშნული რუსის სამხედრო გემი „ტერეკ"-ი გამოდგა.

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის ბრძანებით, მისის უდიდებულესობის კანცელარიასთან, გარდა ავადმყოფ და დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ, მიიღება განსაკუთრებული შემოწირულებანი პეტერბურგში მისის უდიდებულესობის სახელობაზე საავადმყოფოს დასაარსებლად. ერთის საწოლის მოსაწყობად შეტანილ უნდა იქმნას 500 მან. საწოლზე შემომწირველის სახელი აღინიშნება. პირველ ხანს მოსაწყობად შეტანილ უნდა იქნას 120 მან.

ჩიფუ, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). რადგან იაპონელებმა მჭიდროთ შემოარტყეს პორტ-არტურს ალყა, დღეს არავითარი ამბავი არ მოსულა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ცხარე ბრძოლაა. აქაური რუსები ძალიან სწუხან და შიშობენ პორტ-არტურის გამო, მაგრამ რადგან რუსის ესკადრა ჯერ არ გამოსულა ნავთსადგურიდან, ფიქრობენ, რომ საქმე კარგად არის. სწამთ, რომ ახალი ადმირალი, ბრძანებისაბერ, ან წაიყვანს ესკადრას ვლადივასტოკს ან დაიღუპება. წარსულ კვირას ტელინიდან მონგოლიის საზღვარზე გადაიტანეს 500 ათასი გირვანქა სტერლინგი, რომელიც რუსის ხაზინას ეკუთვნის. უცხო ქვეყნელთა წერილებში ნათქვამია, რომ რუსის სამხედრო ინჟინრები ამაგრებენ პოზიციებს ფაკუმენთან, ლიაოხეს დასავლეთ ნაპირზეო.—იაპონიის საკონსულო უარსა-ჰყოფს რუსების მიერ გავრცელებულ ამბავს, ვითომ პორტ-არტურის შტურმი დაწყებულიყვეს. აგვისტოს პორტ-არტურში ფოტოგრაფიით სურათები გადაიღეს და აქ გამოგზავნეს. როგორც ამ სურათებიდანა სჩანს, ნახშირის საწყობები ვეფხვის გორის ბოლოში მთელად არის. ბევრი სახლია ჯერ კიდევ დაუზიანებელი.

ლიაოიანი, 12 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). რუსებმა გაანადგურეს იანტაის მღვიმე-მაღაროების მანქანები. იაპონელებმა ამის გამო ახლები უნდა მიიტანონ. იმედი აქვთ, რომ გზა ლიაოიანიდან მატარებლებისთვის მზად იქნება ნოემბერში. ამბობენ, ტელინიდან რუსები უკან იწევდნენ, მაგრამ ეხლა შეჩერდნენო. დიდძალი ჯარი იყრის თავს.

შანხაი, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). მუკდენიდან იუწყებიან: როგორც მისიონერს უთქვამს, რუსებს ტელინიდან ხალოპიაოლში გადაუტანიათ ოთხი მილიონი მანეთი. ამ ფულით უნდათ მონგოლიის პრინცები მოისყიდონ დასახმარებლად.

ლისაბონი, 13 სექტემბერი. მოვიდა რუსის ტრანსპორტი „ტუაპსე".

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 13 სექტემბერს: „12 სექტემბერს წინ წამოვიდა, ეტყობა დასაზვერად, მტრის მოწინავე რაზმი, რომელიც შესდგებოდა ერთის ბატალიონისა და ორის ესკადრონისაგან. ეს რაზმი გაჩნდა მანდარინის გზისა და სოფელ ტუმიძის სიმაღლეებთან. რაზმი ჩვენმა ჯარმა შეაჩერა და წინ აღარ გამოუშვა. მტერმა ყველგან უკან დაიწია. ჩვენი ცხენოსანნი დავანის ჩრდილოეთით სდევნიდნენ მტრის რაზმებს. ლიაოხეს მარცხენა ნაპირას იაპონელები ჯერ არ მოქმედებენ, მაგრამ იმათი ჯარი ძლიერდება კი ჯანტაის მიდამოებში. იაპონიის ცხენოსანნი მდინარე პუხეს ხეობაში გაჩნდნენ."

ტოკიო, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ"). ბოლო დროს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონია ფინანსთა მხრივ კარგ მდგომარეობაშია. იაპონიაში 18 აგვისტოს ქაღალდის ფული შარშანდელზე 21 მილიონ იენით მეტი იყო. ამ ფულიდან 19 მილიონი მანჯურიასა და კორეაშია. ოქროს ფულის თანხა მხოლოდ 8 მილიონითაა შარშანდელზე ნაკლები. რუსეთს ორი მილიონი მოემატა. ბანკების სტატისტიკა ?ოწმობს საკომერციო და სამრეწველო მოქმედებას. საფოსტო შემნახველ კასსებში თანხას 4 მილიონი შეემატა. ტოკიოს ბანკებში შარშანდელთან შედარებით 21 მილიონით მეტი შეუტანიათ. 1904 წლის პირველ 8 თვის განმავლობაში უცხოეთთან ვაჭრობამ შესძინა იაპონიას ჩვეულებრივზე 20 მილიონით მეტი. ბრინჯისა და ხორბლეულობის კარგ მოსავალს ელიან. ომის საჭიროებისათვის დახარჯულ ფულის სამი მეოთხედი იაპონიაშივე დარჩა.

პარიზი, 14 სექტემბერი (სპეციალური). „ტან"-ში დაბეჭდილია ამ გაზეთის კორესპონდენტის წერილი, ლიაოიანიდან გამოგზავნილი. კორესპონდენტი ამბობს, რომ რუსის წითელი ჯვარი სამაგალითოდ არის მოწყობილიო. დელეგატები, ექიმები და მოწყალების დები დიდას ქების ღირსნი არიანო.

ხარბინი, 14 სექტემბერი. ამ ბოლო დროს ბრძოლის ველზე ცვლილება არ მომხდარა. იაპონელები წყნარად არიან.—როგორც სახალინიდან იუწყებიან, 13 სექტემბერს, ღამე, ანივას კონცხის მხრიდან ზარბაზნის სროლის ხმა ისმოდა. აშკარად მოსჩანდა, ყოველ გაისროლის დროს ცეცხლი როგორ იფეთქებდა ხოლმე. როგორც ეტყობა, ზღვის ბრძოლა უნდა იყოს.

ბათუმი, 14 სექტემბერი. „დობროვოლნი ფლოტის" გემი „სარატოვი" შეუდგა კავკასიის სამხედრო ოლქის სთადარიგო ჯარის-კაცთა გადაყვანას.

მუკდენი, 13 სექტემბერი. იაპონელები გადავიდნენ მდინარე ხუნხეს, მუკდენიდან 75 ვერსის მანძილზე. თანდათან ირკვევა, რომ იაპონელებს თავიანთი ჯარი აღმოსავლეთისკენ გადაჰყავთ.

იალტა, 14 სექტემბერი. ის კომიტეტი, რომელიც დაარსდა ავადმყოფ და დაჭრილ მეომრებს დასახმარებლად ყირიმის სამხრეთ ნაპირას, უმაღლესის ნებართვით თავის უავგუსტოესის მფარველობის ქვეშ მიიღო დიდის მთავრის მეუღლემ ქსენია ალექსანდრეს ასულმა. ნება დაერთო 400,000 მანეთის სესხის აღებისა საელექტრონო განათებისა და სხვა საჭიროებისთვის. ელექტრონი მზად იქნება ოქტომბრის ნახევრამდე.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ მარშალ ოიამას მთავარ სადგომიდან, იაპონელების სამივე არმია მუკდენისაკენ გაემართაო. („ნ. დ.").

„ჰავასის სააგენტო" იუწყება: მუკდენიდან ცნობა მოვიდა, მალე უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდებაო. იაპონელები მუკდენს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან უახლოვდებიანო. („ბ. ვ.").

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ინკოუდან ყოველ დღე დიდძალი სურსათი და სამხედრო იარაღი მოაქვთ ლიაოიანში. ამავე დროს იაპონელები თავიანთ საყვარელ ტაქტიკას მისდევენ: პატარ-პატარა შეტაკებით რუსის ჯარსართობენ და უმთავრეს ჯარს სხვა გზებზე ჰგზავნიანო. („რ").

ფრანგულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: თუმცა გენერალმა რენენკამფმა და სამსონოვმა ბეჯითად დაზვერეს იაპონიის ჯარი, მაგრამ დღემდე ცხადად არ იციან, საით მიდიან იაპონელების უმთავრესი რაზმები. („ნ. დ.").

ტოკიოდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: მარშალმა ოიამამ ბძანება გასცა და ჯარს სთხოვა, მუკდენთან ძალიან დიდი ბრძოლა მოხდება, ყველამ ისეთის სიმამაცითა, მედგრობითა და თავგანწირულებით უნდა იბრძოლოს, როგორც იაპონელ სალდათს შეჰშვენისო. ყველამ მთელი თავისი ძალა და ღონე უნდა მოიკრიბოს, რომ მომავალი ბრძოლა სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდეს. მთელი იაპონია თქვენ გიცქერითო. („ნ. დ.").

„სტანდარდ"-ი ჰფიქრობს, ზამთარში სამხედრო მოქმედება არ შედგებაო. იაპონიის მთავარი შტაბი მანჯურიის სუსხიან სიცივეს არ შეუშინდება, რადგან ეს სიცივე იმდენად როდი შეაწუხებს ჯარს, რამდენადაც გაზაფხულსა და ზაფხულში გამუდმებული წვიმა და ნოტიო აწუხებდაო. გაზეთი უმატებს: ინგლისელ ოფიცრების აზრით, რაც გინდ კარგად გამაგრონ, ტელინი სტრატეგიულ ზაზად არ გამოადგება გენ. კუროპატკინს, რადგან ტელინში 200 ათასი ჯარის-კაციც ძლივს მოთავსდება, რუსეთიდან ახლად მოსული მაშველი ჯარი ხომ სულ ვეღარ იშოვის იქ ბინასაო. („რ.").

„დეილი გრაფიკ"-ი სწერს: ერთმა რუსმა გვითხრა, მანჯურია კარგად მაქვს შესწავლილი და დარწმუნებული ვარ, რომ იქაური ზამთარი სამხედრო მოქმედებას ვერ შეაყენებს. ამბობენ, რაკი სიცივეს დაიჭერს, იაპონელები ერთ ადგილას დაბინავდებიან სადმეო. თუმცა მანჯურიაში ცივი ქარ-ბუქიანი ზამთარი იცის, მაგრამ თოვლი კი ცოტა მოდის და გზები ქარა ფუჭდება. ჩინელები ნიუჩუანში მთელი ზამთარი ურმებით ეზიდებიან საქონელს, ზაფხულში კი მდინარე ლიაოთი ჩამოაქვთ. ინგლისის მთავარ-შტაბის ოფიცრებსაც უთქვამთ „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტისათვის, მართალია, მანჯურიაში ბევრი თოვლი არ მოდის ზამთარშიო. („ნ.").

ხმა გავრცელდა, ვითომ ლიაოიანთან ბრძოლის დროს ავსტრიის სამხედრო აგენტი კაპიტანი ჩეპლიცკი მოჰკლესო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა, კრაკოვში დეპეშა მიუღიათ ჩეპლიცკისაგან: ლიაოიანიდან მშვიდობიანად დავბრუნდი მუკდენშიო. („რ.").

რუსული ჟურნალი „ვოსტოჩნაია აზია" იუწყება: ცნობილი ამერიკელი მწერალი ჟორჟ კენანი ამ ჟამად სამხედრო კორესპონდენტადაა იაპონიაში. კენანს კარგად აქვს შესწავლილი ციმბირი და ეხლა იაპონიის შესწავლასაც აპირობს. კენანი წელიწად ნახევარს დარჩება იაპონიაშიო. („პ. ვ.").

ბრძოლა ლიაოიანთან. მეექვსე ენისეის პოლკის უფროსს დეპეშა გამოუგზავნია ირკუტსკში: 20 აგვისტოს ლიაოიანთან სახელოვან ბრძოლის დროს ჩვენ პოლკს 36 ოფიცრიდან 4 მოუკლეს და 22 დაუჭრეს და 600-მდე სალდათი მოუკლეს და დაუჭრესო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი სწერს: ლიაოიანთან ბრძოლის დროს რუსებმა ურიცხვი ყუმბარა დახარჯესო. მარტო 18 აგვისტოს რუსის არტილერიამ 100 ათას ყუმბარაზე მეტი გაისროლაო. („რ.").

„დეილი მეილ"-ის საგანგებო კორესპონდენტი სწერს: იაპონელების ქვეითა ჯარმა ერთ გორაზე მნიშვნელოვანი პოზიცია დაიჭირა და რუსებმა ვეღარაფრით ვერ განდევნეს იქიდან. მაშინ ერთი რუსის ბატარეია თავის პოზიციიდან გულადად ძირს, მდინარის პირად ჩავიდა და იაპონელების პირდაპირ დადგა: ეგონათ, იაპონელები მოტყუვდებიან, პოზიციას თავს დაანებებენ, ძირს ჩამოვლენ და ბატარეას დაეცემიანო. მაგრამ იაპონელები ხელად მიჰხვდნენ რუსების ეშმაკობას და პოზიციიდან ფეხი არ მოიცვალეს. იაპონელების ქვევითა ჯარს საკვირველად მედგარი და გაბედული იერიში მიჰქონდა რუსის ჯარზე. ხანდა-ხან თითონ გენერლებიც იღებდნენ იერიშში მონაწილეობას და თავიანთ მაგალითით ჯარის-კაცებს ამხნევებდნენ. („რ.").

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი სწერს: გენ. კუროკიმ 18 აგვისტოს მხოლოდ ორი დივიზია გადაიყვანა ტაიძიხეს გაღმა; ეს ორი დივიზია 19 აგვისტოს დღე და ღამ ებრძოდა რუსის 5 დივიზიას, მერე-კი კუროკის კიდევ 3 დივიზია მიეშველაო. („ნ. ვ.").

ბევრნი ამბობენ, გენ. კუროპატკინს წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდა ლიაოიანის მიტოვება და მუკდენისაკენ დახევაო, მაგრამ ბევრნი არ ეთანხმებიან ამ აზრს და ამტკიცებენ, რუსის სარდალს ლიაოიანთან პირიქით, გამარჯვების იმედი ჰქონდა და უკან, დახევას აღარ აპირობდაო. გენ. ოკუც ამ აზრისა ყოფილა. დაწვრილებით მოხსენების ბოლოში ოკუ სწერს: გენ. კუროპატკინს ლიაოიანის დატოვება არ ეწადაო. რუსის მთავარსარდალს ასეთი პლანი ჰქონდა შედგენილი: ჯერ გენ. კუროკის არმია უნდა დაემარცხებინა და მერე გენ. ოკუსა და ნოძუს არმიებს დასცემოდა. წინადვე უკან დახევა რომ ჰნდომებოდათ, რუსები ისეთ მედგარ წინააღმდეგობას აღარ გაგვიწევდნენ ლიაოიანთანაო. („რ. ს.").

ახალი ამბავი

✦ ბაქოში, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, 11 და 12 სექტემბერს ხოლერით ავად გამხდარა 31 კაცი. გარდაცვლილა 17 კაცი.

✦ ამ ჟამად სოხუმში არიან მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტტე და იუსტიციის მინისტრი ნ. ვ. მურავიოვი.

✦ განზრახულია ყუბანის ოლქსა და სტავროპოლისა და ჩერნომორსკის გუბერნიებში **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღონ.** ამ საქმის თაობაზე ადგილობრივ ჩამოვიდა იუსტიციის მინისტრი ნ. ვ. მურავიოვი. მინისტრს უკვე ჰქონია მოლაპარაკება სამსავე გუბერნიის სამოსამართლო დაწესებულებათა წარმომადგენლებსა და საადმინისტრაციო მოხელეებთან.

✦ მოგვივიდა 1904 წლის „ანგარიში **ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა.** როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, 1903/4 წლ. სეზონში დრამატიულ საზოგადოებას გაუმართავს ტფილისში (ორგან) 58 წარმოდგენა, ქუთაისში—24, ბათუმში—8 და ფოთში 5 წარმოდგენა. მთელი შემოსავალი დრამატიულ საზოგადოებისა წლის განმავლობაში ყოფილა 46,621 მან. 55 კაპ. ხარჯიც ამდენივე. კერძოდ წარმოდგენებიდან შემოსულა ტფილისში 18,812 მან. ქუთაისში—6,969 მან., ბათუმში—2,830 მ. და ფოთში 597 მ. ზარალი სამას თუმნამდე. როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებაშია აღნიშნული, უმთავრესად ზარალი გამოუწვევია დიდ დასს. ძალიან ბევრი ფული მოუნდა თურმე არტისტების საგზაო ხარჯს და იმათ დღიურ სასყიდელს (თვიურ ჯამაგირს გარდა არტისტებს ყოველ წასვლამოსვლაზე ეძლეოდათ დღიურადაც). მარტო ამ სეზონის განმავლობაში მოუნდა 4,423 მანეთი, ცოტა იმაზე ნაკლები, რაც წინად მთელის დასის შენახვას უნდებოდა. ამას გარდა საანგარიშო წელს ჯამაგირიც მომატებული ეძლეოდათ არტისტებს.

✦ გუშინ, 15 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის **სასანიტარო კომისიამ** წარუდგინა გამგეობას თავისას მოქმედების ანგარიში 24 ივნისიდან მოკიდებული, ვიდრე 1 სექტემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში კომისიის განკარგულებით ქალაქის სასანიტარო მზრუნველებს დაუთვალიერებიათ 6013 სახლი, 1765 სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა სადგომი. სასანიტარო პირობათა დარღვევისათვის პასუხის გებაში მიუციათ 64 კაცი და ლაბორატორიაში გამოსაკვლევად გაუგზავნიათ სხვა-და-სხვა სანოვაგე.

✦ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ 14 სექტემბერს განიხილა მოწერილობა საერო განათლების მინისტრისა იმის შესახებ, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ ყურადღება მიაქციოს **ომში დახოცილთა** შვილებს და მიღების დროს ქალაქის სასწავლებელში იმათ უპირატესობა მისცეს ხოლმე. კომისიამ დაადგინა, დაავალოს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს და სხვა სასწავლებელთა უფროსებს, უპირატესობა მისცენ ომში დახოცილთა შვილებს.

✦ ამას წინად **რკინის გზის მომხმარებელმა საზოგადოებამ** დაადგინა, დახუროს ყველა ის მაღაზიები, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზეა, და აგრეთვე მოძრავი დუქნები. მიზეზი ის იყო, რომ მაღაზიები დიდ ზარალს იძლეოდნენ. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი გამხდარა რკინის გზის უფროსი, ბ-ნი ივანოვსკი, რომელსაც ამ საქმის გამო ქაღალდი გაუგზავნია პეტერბურგს. ეხლა პეტერბურგიდან ბრძანება მოვიდა, ხელ-ახლა გაიხსნას ბაქოს მაღაზია და შეჩერებულ იქნას სხვა მაღაზიების დაკეტვა 2—3 თვით, იმ დრომდე, ვიდრე მომხმარებელ საზოგადოებათათვის შემოღებული იქმნება ნორმალური წესდება. 12 სექტემბერს მოხდა საგანგებო კრება მომხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ დაადგინა, განუმარტოს რკინის გზის გამგეობას მაღაზიების დაკეტვის მიზეზები და სთხოვოს, ზარალი ხაზინამ იკისროს. შემდეგ ამავე კრებაზე არჩეულ იქნენ გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრნი.

✦ სოფ. ყაზიბეგის (დუშეთის მ... სამრევლო სკოლის მასწავლებლად, და... კლავდია იაკოვლევა. ამ სკოლაში სტ... **ხევეების** შვილები სწავლობენ.

✦ მდგომარე წლის ოქტომბრიდან ქალთა მეორე გიმნაზიასთან არსდება **საფოსტო-სატელეგრაფო კურსები** იმ მოსწავლე ქალებისათვის, რომელნიც მოისურვებენ საფოსტო და სატელეგრაფო საქმის შესწავლას. ასეთი ქალები შემდეგში ადვილად მოახერხებენ ფოსტა-ტელეგრაფის სამსახურში შესვლას და სხვა-და-სხვა ადგილის მიღებას.

✦ მღვდლის ს. დავითაშვილის მოკვლის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს. მკვლელობა მომხდარა 12 სექტემბერს, საღამოს 7 საათსა და 35 წუთზე, როდესაც მღვდელი ეკკლესიაში შესულა, სადაც ამ საღამოს ჯვარის-წერა უნდა მომხდარიყო. მკვლელი, ამავე ეკკლესიის ყარაული, ფეოდორ ბაიდინი მთვრალი ყოფილა. მღვდელს უთქვამს, წადი, დაიძინე და გამოფხიზლდიო. ამის პასუხად ბაიდინს ამოუღია რევოლვერი და უსროლია მღვდლისთვის. იქვე მყოფ რკინის გზის მოსამსახურეს, კანტორის გამგეს ვიკულოვს უტაცნია ხელი ბაიდინისთვის, მაგრამ ამ დროს გავარდნილა მეორედ რევოლვერი და ვიკულოვიც საშიშად დაჭრილა. გამოძიებაზე მკვლელს უთქვამს, მტრობა არა მქონია მღვდლისა, მთვრალი ვიყავი და არ ვიცი, როგორ მოვკალიო.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი **„ნაწერები სერგეი მესხისა“**, ტომი პირველი, ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემული ს. ფირცხალავას მიერ. წიგნი საკმაოდ დიდია, 500 გვერდზე მეტს შეიცავს. ამ წიგნში მოთავსებულია სერგეი მესხის 1869—1878 წ.წ. ნაწერები, როგორც გამომცემელი ამბობს, შიგ რჩევით. ამ პირველს ტომს მოჰყვება მეორე, რომელშიაც დაიბეჭდება მესხის ნაწერები 1879—1883 წ.წ., მისი კერძო წერილები და საბიოგრაფიო მასალა. წიგნი ღირს ერთ მანათად.

✦ გორის მაზრის სოფელ ზემო-ნიქოზსა და ახლო-მახლო მდებარე სოფლებში 7 სექტემბერს, დღისით, **სეტყვა მოსულა.** სეტყვას სულ ერთიან გაუნადგურებია ვენახები და ხეხილის ბაღები. ზოგგან სეტყვა კაკლის სისხო ყოფილა.

✦ 12 სექტემბერს **პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი.

✦ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, ტფილისის საგუბერნიო გამგეობა უკვე შეუდგა სახელმწიფო გადასახადების განაწილებას ტფილისის გუბერნიის ქალაქების იმ მცხოვრებლებს შორის, რომელთაც უძრავი ქონება აქვთ. ეხლა საგუბერნიო გამგეობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს, აცნობოს, რამდენი უძრავი ქონებაა ტფილისში და როგორ არის თითოეული მათგანი დაფასებული.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ 13 სექტემბერს დაადგინა, აცნობოს ხარჯის დუქნების გამგე კომისიას, დაანქაროს სესხად წადებულ 25,000 მანეთის კასაში შეტანა.

✦ ამ სამოსწავლო წლიდან ტირძნისის (გორის მაზრა) ორ-კლასიან სამრევლო სკოლის მოსამზადებელი კლასი დაიხურა.

✦ 12 სექტემბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში, „პარიჟის“ სასტუმროში ჩამომხტარა ახლად ტფილისში ჩამოსული ფასანაურის მცხოვრები სიმონ კაშაუროვი. შინ არყოფნის დროს ნომერში ვიღაც შეპარვია და წაუღია 80 მან. ოქროსა და ვერცხლის ნივთები. ეჭვი ამ ქურდობაში მიიტანეს სასტუმროს მსახურ ილია ეგიაშვილზე, რომელიც უკვე დაპატიმრეს.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, 13 სექტემბერს, საღამოთი, ტფილისის მოქალაქე დარჩო ალაჯანოვი გაღებულ ფანჯრიდან გადამძვრალა სარქისა ჩარაღოვის სახლში, ჩაუცვამს მისი ჩერქეზული ჩოხა, ვერცხლის ქამარი შემოურტყამს და ასე გამოწყობილი ის იყო უნდა მიმალულიყო, რომ მიუსწრეს და დაიჭირეს.

✦ სიონის საკრებულო ტაძრის ეზოში სახლს აგებენ. მუშებს ეპისკოპოსის ბენიამინეს სახლის წინ ეზოში ცეცხლი დაუნთიათ და ჩასძინებიათ. გაძლიერებული ცეცხლი ეპისკოპოსის სახლის შესავალ კარებსა და კიბეს მოსდებია. ცეცხლის გაჩენა მალე შეუტყვიათ და ჩაუქრიათ.

✦ 12 სექტემბერს, მუშტაიდის მახლობლად მტკვრიდან გამოათრიეს ვიღაც უცნობ დამხრჩვალ კაცის გვამი. დამხრჩვალს ჯიბეში აღმოაჩნდა გადასაცემი წერილი და რკინის გზის ბილეთი გურგენოვის სახელზე. გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, 13 სექტემბერს, მე 733 ნომრის ეტლი გაქანებული დაეტაკა 4 წლის ბავშვს ალექსანდრე სერებრიაკოვს და დააშავა. დამნაშავე პალ-უხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ 11 სექტემბერს მიხეილის ქუჩაზედ ალექსი [illegible]შვილის საპარიკმახეროში პეტრიაშვილის [illegible] დროს, შეგირდს მიხეილ დგებუაძეს მოუპა[illegible] 18 მან. 20 კაპ., საათი ვერცხლისა და სხვა ნივთები და სადღაც დამალულა.

✦ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამ დღეებში ქურდებმა გატეხეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის იარაღების საწყობიო სასწავლებლის დირექტორის გამოკვლევით, ქურდებს წაუღიათ 150 მან. ნივთები. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს სასწავლებლის ყოფილ მოსწავლე ნიკოლოზ ბაქრაძეზე.

✱ დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატება** მე-253. შინაარსი: „მღვდელ მთავარი“ ა. ჩეხოვისა. სურათები: არზიმედი ქანდაკება კორნუსი, გენ. შტაკელბერგის ჯარი, იაპონელების იერიში პორტ-არტურზე და სამი კარიკატურა.

ქალაქის საქმეები

13 სექტემბრის სხდომა

ქალაქის თვითმართველობანი ჩვენში გასაკიცხნიც არიან და შესაბრალისნიც. აბა როგორ არ უნდა გაჰკიცხო ისეთი დაწესებულება, რომელსაც საქმე აქვს დავალებული, ფულიც კასაში უდევს ამ საქმის განსახორციელებლად და ცხრა თვის განმავლობაში კი არა გაუკეთებია-რა! ტფილისის ქუჩების მდგომარეობა საარაკო გამხდარა, ავდარში ფეხით სიარული ნამდვილი უბედურებაა ტროტუარების რიცხვის სიმცირის გამო. ზოგ ხმოსანს ეს მოუსაზრებია და ხარჯთ-აღრიცხვაში საჭირო ფული შეუტანიათ ტროტუარების გასაკეთებლად. მორჩა და გათავდა: გამგეობას არ გახსენებია და არც რომელიმე ხმოსანს გაუხსენებია მისთვის საქმის გაკეთება. „გაუგებარია ასეთი ინდიფერენტობა ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების მიმართო“, სთქვა ხმ. ხუდადოვმა, მაგრამ აქ გაუგებარი არა არის-რა: დღევანდელი ხმოსანი, თუ გამგეობის წევრი ეტლით დაბრძანდება, ტროტუარი მისთვის საჭირო არ არის და ისიც დიდია, თუ, ბ. ხუდადოვისავით, ცხრა თვის შემდეგ მოაგონდება გადაწყვეტილ საქმის ასრულება. „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება სიმართლის გამომხატველი. ეხლანდელ საბჭოში კი „მშიერი“ ერთიც არ მოიპოვება“.

მაგრამ მარტო „ხმოსანთა მაძღრობა“ არ არის მიზეზი ეხლანდელ თვით-მართველობის უძლურებისა: ქალაქის საყასპოების გამგე კომისიის წინადადებით საბჭომ საჭიროდ დაინახა ხორცის ნიხრის მოსპობა. ქალაქის საქმეთა საკრებულომ არ დაამტკიცა საბჭოს ეს დადგენილება, თუმცა საქალაქო დებულებით ნიხრის დაწესება თუ მოსპობა საბჭოს უფლებას შეადგენს. ამავე საყასპოებისათვის საბჭომ გადასდო წელს 25 ათასი მანეთი და დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა. არამც და არამც არ შეიძლება ამ ფულის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანა, რადგან გასაღებ ხარჯის წყარო (ჯერ კიდევ შემოუტანელი ფული წყლის მილით სარგებლობისათვის) კანონიერად ვერ არის ნაჩვენებიო. ქალაქს ავჭალაში ადგილი ესაჭიროება წყლის მილისათვის და ამიტომ საბჭომ დაადგინა თ. გურამიშვილის მიწის შეძენა. არც ეს დადგენილება დაუმტკიცებია საკრებულოს ისეთისავე მიზეზის გამო, როგორც ზემოდ იყო ნაჩვენები.

ყველა ზემო-აღნიშნული დადგენილებანი საკრებულოსი სანსაჩივრებული იქნება სენატში.

ქალაქს ჰქონია 70 ათას მანეთამდე სადავო ვალი ხაზინისა, აქედან 40 ათასზე ხელი აუღია მთავრობას და, მაშასადამე, 30 ათასი დარჩება. მაგრამ, როგორც ხმ. ალ. არღუთინსკიმ ახსნა, ხაზინას ჰმართებია ქალაქისა 130 ათასამდე მთავარმართებლის სასახლეზე დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი (მხოლოდ სასამართლოს წესით შეეძლო ქალაქმა ამ უფლების აღდგენა). იმავ ხმოსნის წინადადებით, საბჭომ დაადგინა—აიღონ ხაზინიდან ეს 130 ათასი, გადაიხადონ 30 ათასი ვალი და დანარჩენი 100 ათასი მოახმარონ რომელსამე საზოგადო სასარგებლო საქმეს.

გარდა მოხსენებულისა, საბჭომ განიხილა კიდევ სამი საქმე და დაადგინა:

1. სატრაქტირო გადასახადი ნავარაუდევი იყოს მომავალ ხარჯთ-აღრიცხვისათვის 70 ათასი მანეთი სამოცის მაგიერ.

2. შემოუტანელ სატრაქტირო გადასახადს (როცა შემოუტანლობის მიზეზი ტრაქტირის არ გახსნა ან დახურვაა) გამოაკლდეს საშუალო სააქციზო გადასახადი და დანარჩენი გაეწეროს არსებულ ტრაქტირებს იმავ ტიპისას.

3. ნება მიეცეს ტრამვაის უსახელო საზოგადოებას გამოსცვალოს რელსები ნავთლუხის ლიანდაგისათვის და არ მოკირწლოს რელსებ შუა მდებარე ვიწრო გზა; სამაგიეროდ ავლაბრის ლიანდაგი, რომელიც გოგილოს აბანოსთან უნდა გათავებულიყო, სიფილისის საავადმყოფოს მოსახვევამდე უნდა გავრძელდეს, გაიყვანოს რკინის გზამდე ახალი ლიანდაგი (ხელშეკრულობაში არ მოხსენებული) და 1906 წლის აგვისტომდე ელექტრონის ტრამვაი აამუშაოს. ავლაბარსა და ნავთლუხში (ხელშეკრულობის ძალითკი ამ ლიანდაგებზე ჯერ ცხენის ტრამვაი უნდა ყოფილიყო და ელექტრონის მოძრაობის შემოღება მაშინ იქმნებოდა სავალდებულო უსახელო საზოგადოებისათვის, როცა ლიანდაგის შემოსავალი დღეში ას მანეთს აღემატებოდა). გამგეობის ამ მოხსენების სარგებლობა ქალაქის ინტერესებისათვის ყველასათვის ცხადი იყო, მაგრამ „კამათისათვის კამათის“ მოყვარულმა ხმოსნებმა გული გააწყალეს უთავ-ბოლო ლაპარაკით. ზოგ ხმოსანს თავის მოვალეობად მხოლოდ ამგვარი „მოღვაწეობა“ მიაჩნია.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 სექტემბერი

შანხაი, 15 სექტემბერი. („რეიტ. სააგ.“). ჩრდილოეთ კორეაში მყოფი რუსის ჯარები სამხრეთისკენ მიდიან.

ჩიფუ, 15 სექტემბერი. („რეიტ. სააგ.“). მოვიდა რუსის ქალი ბავშვით და მოჰყვა რამდენიმე ჩინელი. ამ ქალმა 13 სექტემბერს დასტოვა პორტ-არტური და ნავით წამოვიდა. 7 სექტემბრიდან იქ განუწყვეტელი ბრძოლაა. მეციხოვნე ჯარში ბევრია მოკლული და დაჭრილი. ახლად მოსულები ამბობენ, იაპონელები ამ მოკლე ხანში აიღებენ პორტ-არტურსაო.

ნიუ-ჩუანი, 14 სექტემბერი. („რეიტ. სააგ.“). ბოლო დროს ლიაოიანიდან მიღებულ ცნობებით, რუსებმა ჩრდილოეთისკენ დაიწიეს და უჭირავთ ადგილები მაშტუნტოიდან შანკორტაიძემდე. რუსების კავალერია ადგილებს ზვერავს. არტილერია მაღალ პოზიციებზე დგას მუკდენის ახლოს. ჩილიბოში ქვეითა ჯარისა და კავალერიის რაზმია სულ 500 კაცი 4 ზარბაზნით. კუროკის არმიაში მყოფი „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი უარჰყოფს ამბავს ლიაოიანის გაძარცვისა და დახოცილთა დასახიჩრების შესახებ და ამბობს, რომ ვერც რუსისა და ვერც იაპონიის არმიას ცუდ ყოფა-ქცევას ვერ დავაბრალებთ. ორივე მხარე ჰუმანიურად იქცევა და ამ მხრით ეს ბრძოლა სამაგალითოა სამხედრო ისტორიაში. რუსებიცა და იაპონელებიც პატივისცემით ეპყრობიან ტყვეებსა და დაჭრილებს, ადგილობრივ მკვიდრთაც კარგად ექცევიანო.

შანხაი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ დასავლეთ ნაწილიდან ამბავი მოვიდა, ბოქსერები აშკარად ავრცელებენ იმგვარსავე პროკლამაციებს, როგორსაც 1900 წ. აჯანყების წინ ავრცელებდნენ. ამ პროკლამაციებში ნათქვამია, რომ უცხოელთა ამოჟლეტა 4 ოქტომბერს უნდა დაიწყონო.

ჩიფუ, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). წუხელის იაპონელებმა დაიჭირეს ნავი, რომელშიაც იჯდა ერთი რუსი ცოლითა და ორის შვილით. მეორე ნავმა, რომელმაც ეს ამბავი მოიტანა, ვერ შეიტყო რა ბედი ეწია ამათ, რადგან შორს იყო.

სტამბოლი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). გუშინ ბოსფორი გაიარა რუსის ლობროვოლნი ფლოტის გემმა „ნიჟნი ნოვგოროდ“-მა და კანდიისაკენ გაემართა; იქიდან პორტ-საიდს წავა და იქ განკარგულებას მოუცდის. ამ გემს სავაჭრო ბაირაღი აქვს. არა აქვს არც იარაღი და არც სამხედრო მასალა, არც არაფერი დამოკიდებულება ჰქონია ნაპირებთან.

ლონდონი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, მუკდენში რუსების მთავარ სადგომთან მყოფი, იუწყება პეკინის გზით: „საკავალერიო მოწინავე რაზმები, რომელნიც რკინის გზით დასავლეთით დგანან, იუწყებიან, რომ იაპონელთა დიდი მოძრაობა დაიწყო, რაიცა იმას ნიშნავს, რომ ისინი აღმოსავლეთისკენ მიდიან. არავითარი ცვლილება არ მომხდარა, იაპონელთა 4 დივიზია ვონპუზასთან დგასხმებია, დანარჩენი სამი დივიზია იანტაის მღვიმე-მაღაროებთან დგასო, თუმცა გენერალი მიშჩენკო იუწყება, მღვიმე-მაღაროებამდე მივაღწიე და იქ მხოლოდ რამდენიმე პატარა რაზმი აღმოვაჩინეო.

ლასპალმასი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“) იქ მოვიდა დღეს გერმანელთა 4 გემი, ამერიკა-ჰამბურგის ლინიისა, 10 ათას ტონა ქვა-ნახშირის წასაღებად.

ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული, 13 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსები ზოგავენ ყუმბარებს, რადგან მოახლოვებულია საბოლოო იერიში. რამდენიმე დღის განმავლობაში სროლა შემცირდა იაპონელებმა ისევ მიმართეს სტესსელს წინადადებით, დაგვნებდით, მეციხოვნე ჯარს სამხედრო პატივით გამოუშვებთ ციხიდან, პორტ-არტურის ესკადრას კი დავიჭერთო. გენერალმა სტესსელმა გადაჭრით უარჰყო ყველა წინადადება და გამოაცხადა, ყველას დავახვრეტინებ, ვინც ამისთანა წინადადებით მომმართავსო. მეციხოვნე ჯარი გმირულად იბრძვის. ღამე რუსები სანგრებს მართავენ, რომ დააბრკოლონ იაპონელთა წინსვლა აღმოსავლეთის მხარიდან, დღისით-კი იაპონელები ანგრევენ იმათ ნამოქმედარს. რუსები ღამე ხელ ახლად აკეთებენ სანგრებს. განუწყვეტელი ყუმბარების სროლაა. ღამეც, მთვარის სინათლეზე ისვრიან ყუმბარებს. ამჟამად იაპონელები განუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებს აღმოსავლეთის მხარეზე უმთავრეს სიმაგრეებს, რათა გზა გაუხსნან ჯარს იერიშის მისატანად. იაპონელთა საპიონერებმა ზოგიერთი ადგილები გასთხარეს რამდენისამე ასის მეტრის მანძილზე, მაგრამ რუსები მძლავრის თოფის სროლით წინ არ უშვებენ. ღამე პორტ-არტურში ნაციონალურ ჰიმნის ხმა ისმის. ჯარები სიმღერით მიდიან პოზიციებზე. იაპონელები მათ საპასუხოდ „ბანზაი“-ს იძახიან და პატრიოტულ ჰიმნებს მღერიან.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებითი უდიდებულესობას 14 სექტემბერს: „რკინის გზის აღმოსავლეთით იაპონელთა მოწინავე რაზმებს უჭირავთ იგივე ადგილები, რომელიც წინად ეჭირათ. ხანდახან პატარა რაზმებს ჰგზავნიან წინ, რომელთაც ავიწროვებს ჩვენი მოწინავე კავალერია და უკან აბევინებს. გენერალ სამსონოვის რაზმში დარაჯებმა წაართვეს იაპონელებს საქონლის ჯოგი და დასჭრეს ერთი იაპონელი კავალერისტი. 13 სექტემბერს, ღამე ხორუნჟი მახეევი ურალის ყაზახებით თავს დაესხა იაპონელთა ბანაკს ხუანშანთან და დიდი აურ-ზაური მოახდინა. 11 სექტემბერს ორენბურგის ყაზახთა მზვერავი რაზმი ჩაუსაფრდა იაპონელთა ნახევარ ესკადრონს, უეცრად სროლა აუტეხა; ნახევარ ესკადრონმაც პასუხი გასცა, მაგრამ დიდათ დაზარალდა, საჩქაროდ უკან დაიწია და ბრძოლის ველზე რამდენიმე მოკლული სალდათი დასტოვა. ყაზახებმა ხელთ ჩაიგდეს იაპონელთა რამდენიმე ცხენი. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას.“

15 სექტემბერი

შანხაი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად უარჰყოფს იმ ხმას, თითქო იმას პროტესტი გამოეცხადებინოს ინგლის-ტიბეტის ხელშეკრულობის წინააღმდეგ.

13 სექტემბერი

პეტერბურგი. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი. სადგურზე დაუხვდა მინისტრის ამხანაგი დურნოვო. საიმპერატორო დარბაზში მინისტრი ესაუბრა იმათ, რომელნიც მიეგებნენ და შემდეგ წავიდა სადგურიდან.

მინსკი. საგუბერნიო საერობო კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს, რათა მომატებულ იქმნას რიცხვი საერობო ხმოსანთა და ორის ხმოსნის მაგიერ ხუთი გაიწვიონ თვითეულ მაზრიდან.

იაკუტსკი, 12 სექტემბერი. მოვიდა ფეხით მოგზაური ოსკარ ცელდერი, რომელსაც განუზრახავს მთელ დედამიწის შემოვლა ფეხით.

ბაქო, 12 სექტემბერი. საღამოთი რკინის გზის ეკკლესიის შესავალ კარებთან ეკკლესიის დარაჯმა თევდორე ბაიდინმა რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა მღვდელი სერგეი დავიდოვი. ბაიდინმა მეორედ გაისროლა რევოლვერი და დასჭრა ვიკულოვი. ბოროტ-მოქმედების მიზეზი არ იციან.

თავრიზი. აქ გამოგზავნილმა ექიმებმა აღმოაჩინეს რამდენიმე კაცი, ხოლერით ავადმყოფი.

დეტმოლდი. დღეს გარდაიცვალა გრაფი რეგენტი ლიპპე.

ნიუ-იორკი („რეიტ. სააგ.“). პარკერმა გამოაცხადა თანხმობა პრეზიდენტის კანდიდატობაზე და ვრცლად განმარტა თავისი პოლიტიკური პროგრამა.

14 სექტემბერი

პეტერბურგი. 13 სექტემბერს ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული დაბრუნდა რამონიდან პეტერბურგს.

ბერლინი, 13 სექტემბერი. როცა ინგლისის ექსპედიცია ლხასსიდან წავა, დაიწყება უმთაოდ ღებანი ტიბეტის პოლიტიკურ დასთა შორის. [illegible] საბჭო, რომელმაც ხელშეკრულება [illegible] ინგლისთან, სუსტ პარტიისაგანაა შემდგარი.

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. მას აქეთ, რაც რუზველტმა განიზრახა, ჰააგას მეორე კონფერენცია მოიწვიოს, შამართა სახელმწიფო დეპარტამენტს წინადადებით, მოლაპარაკება გამართოს სხვა სახელმწიფოებთან, იმის შესატყობად, თუ სად და როდის სურთ მოიწვიონ კონფერენ-

...ცა, როცა სახელმწიფოებისაგან პასუხი მოუვა და კონფერენციის მოწვევა უზრუნველ ყოფილი იქნება, რუზველტი ოფიციალურად მოიწვევს სახელმწიფოებს კონფერენციაზე. გაზეთები წრებიდან იუწყებიან, რომ რუზველტი არ მოუცდის რუსეთ-იაპონიის ომის დასრულებას: განზრახვა აქვს კონფერენცია 1905 წლის დამდეგს მოიწვიოს.

კოპენჰაგენი, 13 სექტემბერი. გუნძულ ისლანდიამდე ზღვაში გაყვანილ სატელეგრაფო მავთულის მოქმედება 1906 წელს 18 სექტემბერს დაიწყება.

ხარკოვი, 13 სექტემბერი. გაიხსნა სამეურნეო გამოფენა.

ასტრახანი 13 სექტემბერი. მოვიდა გრაფი შუვალოვი, რომელსაც მინდობილი აქვს გადამდებ სენების წინააღმდეგ სხვა-და-სხვა ზომების მიღება.

ბელგრადი, 13 სექტემბერი. კლუბში კრება მოხდა, რომელზედაც პარლამენტის წევრებმა გადასწყვიტეს არ აღძრან საკითხი რადიკალურ პარტიის მოწყობის შესახებ, სანამ სკუპშჩინა არ იქნება მოწვეული —1 ოქტომბერს მეფე ჟიჩის მონასტერში წავა, სადაც მირონ-ცხება მოხდება. ამ მონასტერში მე-1 საუკუნეში ნემანიჩების დინასტიის ყველა მეფეებს სცხეს მირონი.

სოფია, 13 სექტემბერი. ელიან მეფე პეტრეს, რომელმაც ვიზიტი უნდა გადაუხადოს ბოლგარიის მთავარს.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულ“-ში დაბეჭდილია, რომ მთავრობამ დანიშნა სალიკვიდაციო კომისია პეჩენგანისა და ამხანაგობის საქმეების განსაწესრიგებლად.

ირკუტსკი, 14 სექტემბერი. გუშინ გაიმართა სადილი იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ ბაიკალ-კულტუკის ახალ რკინის გზაზე გაიარა პირველმა მატარებელმა. დაესწრო გზათა მინისტრი მეუღლით. 11 საათზე მინისტრი მეუღლით ტანხოის წავიდა. ბაიკალის გარშემო რკინის გზის მთელ მანძილზე მოძრაობა ხელმწიფის ტახტზე ასვლის დღეს დაიწყება. პირველმა მატარებელმა დაუბრკოლებლად გაიარა. თავადი ხილკოვს განზრახვა აქვს 15 სექტემბერს დაბრუნდეს პეტერბურგს.

ირკუტსკი, 14 სექტემბერი. მოვიდა ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი.

ჰააგა, 14 სექტემბერი. „რუსსკი ტურკესტან“-ი იუწყება, რომ ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილები დანიშნულ ვადაზე 6 თვით ადრე შეაერთეს.

ირკუტსკი, 14 სექტემბერი. დიდის ამბით დაასაფლავეს ციმბირის ცხოვრების მცოდნე „სიბირ“-ისა და ბევრ სხვა გაზეთის თანამშრომელი მიხეილ ვასილის ძე ზაგოსკინი.

ბალაშოვი, 14 სექტემბერი. დიდის ამბით აკურთხეს ადგილობრივ წითელ ჯვრის კომიტეტის მიერ მოწყობილი საავადმყოფო 25 დაჭრილ სალდათისათვის.

სტამბოლი, 13 სექტემბერი (კორრეს. ბიურო). სმირნაში მეხუთე კაცი გახდა ავად შავი ჭირის მსგავს სენით. ერთი ავადმყოფი უკვე გარდაიცვალა.

ლონდონი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ინგლისის ექსპედიცია 10 სექტემბერს ლჰასიდან გავიდა და იანგს მივიდა. — ინგლისის კონტრ-ნაღმიანი გემი „შამუა“ კალაბრიის მახლობლად ჩაიძირა. მეზღვაურნი გადარჩნენ.

დრეზდენი, 14 სექტემბერი. 13 სექტემბერს მეფეს რამდენჯერმე შეეხუთა სული და ხველა აუვარდა. ღამე მეფემ მოუსვენრად გაატარა.

გონბურგი, 14 სექტემბერი („ვოლფის სააგ.“). მოვიდა იტალიის მინისტ-პრეზიდენტი ჯიოლიტი.

პეკინი, 14 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ტიანძინის დაოტაის ტანგშაოკის ებძანა, ტიბეტში წავიდეს ადგილობრივ საქმის გამოსაკვლევად.

ბათუმი, 14 სექტემბერი. ეპისკოპოსმა დიმიტრიმ აკურთხა ქალაქის მიერ აგებული ახალი შენობა დედათა გიმნაზიისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილ. ჭაბაძარი.

მოიკითხეთ

ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების

უდიდესი ხილეულობის სანერგე.

სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ, М. Е. Придонову, Тифлисъ, Сергіевская ул., № 11 и Сельск.-Хозяйст. Т-во «Колхида»— Кутаисъ. მალე დაიბეჭდება ქართულად კატალოგები, რომელიც მსურველთ უფასოდ გაეგზავნება. (10—280—9)

გამოვიდა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი

სრული გეოგრაფია საქართველოსი

ბატონიშვილის ვახუშტისა,

ავტორის სურათით, საქართველოს რუკით (ქარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“.

ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას სხვაფრივაც აქვს ჩვენთვის ძნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმითაც, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.

ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.

გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით- Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—211—8)

ალექ. კოსტავას

მაღაზია ქუთაისში,

ბულვარის პირდაპირ სობორის გვერდით იყიდება ყოველგვარი შეკერილი ევროპიული ტანისამოსები, მაგალითად: პალტოები ათი მანეთიდან ოცდა თხუთმეტ მანეთამდე, მთელი კოსტიუმი 10 მანეთიდან 35 მანეთამდე, შარვლები, კრახმალიანი პერანგები, ზაპონკები, ტროსტები და ყოველგვარი თეთრეული. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპიულ ტანისამოსებისა და იყიდება არშინობით საზღვარ გარეთული და რუსული მატერიები.

ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა. (8—6)

...ლუდხანის ამხანაგობა ...

[illegible] ამხანაგობა 3.500,000 ვედრა ... 1882 და 1898 წ. წ. ... ამხანაგობა ...

... (1/20) ... 15 კაპ. ... 16 ...

... 14 კაპ. ... 15 კაპ. ... 8 კაპ.

ადრესი: ... № 11, ... ტელეფონი № 1013.

შენიშვნა: ... (50—35—47)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრები

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩის კუთხეში. სადილი ორი თავით, პურით, ამრაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უ ყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და ა—12 ს. სად. (88—52—52)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

პ. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ და დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—1)

განცხადებანი

ვაჭრობის

სამუდამოთ მოსპობის გამო ვყიდი მუზიკალურ იარაღებს, ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეთანხმებით. კიროჩნის ქუჩა, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გვერდით, ტფილისი, ვ. პელლინო. (10—309—2)

სარდაფი

იძლევა ქირით, თუმა-ნოვის ქუჩაზე № 1. (2—310—1)

ტფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება ახალი წიგნი

„НАРОДНАЯ МЕДИЦИНА“

въ Закавказскомъ краѣ

ა. იაშვილისა. ფასი 70 კაპეიკი. (5—311—1)



Сѣдельн. Спеціальн.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ...ვისა, № 92, სახაზინო ...ნის ახლოს. (Წ.—176—91)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევს საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ქნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხა გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—44)

18.. მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში.

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში ... ბრიკის ნიშანი ... ნარდ ... ვაჭ... აწარმოებს ... პრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ორეხოვს, ტაშკენტში. და ტფილისს

(60—34)